



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 67

2015 წლის 7 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჩაურის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყლის სისტემის რეაბილიტაციის, უკანაფშავის დაზიანებული საავტომობილო გზის (ხოშარა - ნაფეტვარი - ვაკისოფლის მონაკვეთი) აღდგენითი სამუშაოების და სოფელ არდოტში, ანდაქში და არჭილოში დაზიანებული საცალფეხო ხიდების აღსადგენად საჭირო მასალების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჩაურის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების, უკანაფშავში დაზიანებული საავტომობილო გზის (ხოშარა - ნაფეტვარი - ვაკისოფლის მონაკვეთი) აღდგენითი სამუშაოების დროულად დაწყებას და დამთავრებას, ასევე სოფელ არდოტში, ანდაქში და არჭილოში დაზიანებული საცალფეხო ხიდების აღსადგენად საჭირო მასალების უმოკლეს დროში შეძენას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებულ ობიექტებზე შექმნილია მძიმე ვითარება, ამასთან, იწურება ზაფხული რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო შესაძლებელია მალე შეუძლებელი გახდეს სამუშაოების წარმოება, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჩაურის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების 63 207 (სამოცდასამი ათს ორას შვიდი) ლარის სარეაბილიტაციო, უკანაფშავის დაზიანებული საავტომობილო გზის (ხოშარა - ნაფეტვარი - ვაკისოფლის მონაკვეთი) 4 675 (ოთხი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარის

აღდგენითი სამუშაოების და სოფელ არდოტში, ანდაქში და არჭილოში დაზიანებული საცალფეხო ხიდების აღსადგენად საჭირო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის მასალების შესაძენად შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი